საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/20

15 ---------- თებერვალი, 2021 წ. ქ. ბათუმი

„2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 25 იანვრის N 01-02/02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-5 მუხლის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 24 დეკემბრის №1.1/141 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N01-02/16 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობა) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 25 იანვრის N 01-02/02 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) დოკუმენტაციის მიღება 2021 წლის 12, 13, 14, 15 თებერვლის ჩათვლით“.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N01-02/16 ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის კორექტირება.

3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

4. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სტუდენტურ პორტალზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**